# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 280. კვირა, 19 დეკემბერი 1904 წ. გაზეთის № 2703.


# მეჩექმე გაგო

(დასასრული *)

დიდხანს იჯდა გაშტერებული, გაშეშებული, დაღვრემილი, შუბლშეჭმუხვნილი და თავში ჩაქუჩ-დარტყმული. ცოტა ხნის შემდეგ ჯერ ერთი ცრემლი მოიწმინდა, მერე—მეორე, მერე—მესამე, მერე კი კარგა ხანს თვალებიდან ჭრელი ხელსახოცი აღარ მოუშორებია. შემდეგ ფანჯარასთან მივიდა და გარედ ყურება დაიწყო.

ბიჭმა ვახშამი, ლუდი და ღვინო შემოიტანა.

— ხაზეიკამ, უჩემოდ ნურაფერს ნუ მისცემთო.—სთქვა მან და რა პასუხი არ მიიღო, გავიდა. პაპაშას ეს სიტყვები თავზე ახალ მეხად დაატყდა: თავბრუ დაეხვა, თვალთ დაუბნელდა და რომ არ წაქცეულიყო, სკამზე ჩამოჯდა.

მაშინვე გვრიტები, ჰუკები და წიწილები შემოვიდნენ, ღვინო და ლუდი დალიეს და გავიდნენ; შემდეგ კიდევ შემოვიდნენ, ბოთლები დაცალეს და კიდევ მოითხოვეს, მაგრამ ბიჭმა უარი უთხრა—თვითონ სტუმარმა უნდა მოითხოვოსო. სიტყვა „სტუმარი“ პაპაშას გულამდის ჩასწვდა. გვრიტები და წიწილები კი გაკვირდნენ, ხან ბიჭსა და ხან პაპაშას შესცქეროდნენ და განმარტებას ელოდნენ.

პაპაშას ჯერ ეწყინა, მერე შერცხვა, გაწითლდა, მიბრუნდა, ჯიბიდან ორი ოქრო ამოიღო, მაგიდაზე დაჰყარა და დაიყვირა:

— ამის ღვინო მოიტა! ჩქარა!

პაპაშა გაჯავრდა, გაბრაზდა: ბევრი ღვინის დალევა, დათრობა, იქაურობის დალეწვა, ერთი აყალმაყალისა და „სკანდალ“-ის მოხდენა მოუნდა და გულშიაც იმ ლაქიის ცემა განიზრახა, რომელმაც ეს არის იმის გვრიტებთან შეარცხვინა, აწყენინა და გააწითლა.

— ჩქარა, ღვინო, თორემ დაგამტვრევ!—მიაძახა მიმავალ ლაქიას და აღელვებულმა ოთახში სიარული დაიწყო, მაგრამ მაშინვე შეჩერდა, დოინჯი შემოიყარა, ჯერ კმაყოფილებით გაიღიმა, მერე გადაიხარხარა, ჩაიხითხითა, ჩაიკისკისა, ჯიბიდან თეთრი ფული ამოიღო, წიწილებს მიუყარა და თანაც ყვიროდა:

— ჯუ-ჯუ-ჯუ-ჯუ! წია, წია, წია! ჰუკა, ჰუკა, ჰუკა!

წიწილებმა და ჰუკებმა ხმა ამოიღეს და ყვირილითა და სიცილით იატაკზე ფოფხვა დაიწყეს.

ღვინო რომ მოიტანეს, პაპაშამ ერთი ბოთლი მოიყუდა და დაუსვენებლივ დაცალა; მერე მეორეც დაცალა, შემდეგ ჰიქები აავსო, ჰუკებს დაურიგა, მრავალ ჟამიერ ამღერინა და თავის სადღეგრძელო დაალევინა. თვითონ ბაიათი დაიწყო, მაგრამ არ გაათავა და ჩუმად თვალიდან ცრემლი მოიწმინდა. ერთი ჰიქაც რომ დალია, ტახტზე პირქვე მიწვა, ჩუმად ცრემლებს იწმენდავდა და თანაც ბუტბუტებდა:

— ჰამეთ, ჩემო ჰუკებო... გვრიტებო, წიწილებო... ჰამეთ და დასუქდით...

— ადე დალიე, პაპაშა!—უთხრა ვიღაცამ.

— მე, გვრიტოჯან?... მე დავბერდი, აღარავის უნდივარ...

პირი კედლისკენ მიიღო, ხმა აუკანკალდა.

— ჰუკებოჯან, გვრიტებოჯან...მალე აღარ გეყოლებით... წავალ... მაგდებენ... ეხლა თქვენი რიგია, იცხოვრეთ... მე კი მითხოვენ, მაგდებენ... აღარავის არ უნდივარ...

ტიროდა, ცრემლებს ჰყლაპავდა, სლოკინებდა, მხრები უთრთოდა.

ხანუმა შემოვიდა, ქალები ზალაში გარეკა, თვითონ კი თავის ალაგზე მოიკეცა და ჰიაყელას თვალი უყო. ჰიაყელამ პაპაშა დიდის გაჭირვებითა და ვაივაგლახით ააყენა, ხან არცხვენდა, ხან არიგებდა, ხან ებუტებოდა და შინისაკენ ეწეოდა.

ორივენი ბარბაცით გავიდნენ.

ზალაში პაპაშა ისევ შეჩერდა და წაიბუტბუტა:

— მშვიდობით... მშვიდობით, ჩემო წიწილებო...

ამაზე მეტი ველარა მოახერხარა და ისევ ჰიაყელას გაჰყვა.

პაპაშა ქვემო სართულში ცხოვრობდა. ორ პატარა ოთახში მისი ოჯახი იყო მოთავსებული, მესამეში და უფრო მოზრდილში კი—სახელოსნო.

პირველ ოთახში ბნელოდა, მეორეში სანთელი ოდნავ ბჟუტავდა. იქ თითქმის დაბრმავებულსა და მარად უსიტყვო—პაპაშას ცოლსა და მის ერთ წყვილ ქალ-ვაჟს ეძინათ.

ოთახში პაპაშა დაღვრემილ-დაღონებული შევიდა. მეორე ოთახიდან ცოტა ხანს ბავშვების ჩურჩული ისმოდა, მაგრამ მალე მისწყდა. პაპაშას თავ-პირი ჩამოსტიროდა, თავი ჩაქინდრული ჰქონდა, ფეხებს ძლივს მიათრევდა და კედელს ეფოთირებოდა. უკან ჰიაყელა მისდევდა და რაღასაც ბუტბუტებდა.

პაპაშა ტანისამოსიანად ტახტზე მიწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო, ღრმად ამოიოხრა და თავის ჰუკებისა და წიწილების ფიქრს მიეცა.

ოთახში ცხელოდა, ჰაერი შეხუთული იყო. მეორე ოთახიდან ოდნავ ღია კარებში სანთლის მკრთალი შუქი შემოდიოდა და ქეჩაზე მიწოლილ ჰიაყელას უკან კედელზე დათრთოდა. ჰიაყელა დროგამოშვებით დარიგებისა და უკმაყოფილების კილოთი რაღაცას ბუტბუტებდა და თან კრუსუნით ერთ გვერდიდან მეორე გვერდზე ბრუნდებოდა.

ზევიდან ჯერ პიანინოს ხმა და ფეხების ბრახი-ბრუხი მოისმა, მერე ორივე შესწყდა და სამაგიეროდ ყმუილის მაგვარ სიმღერის ხმა წამოვიდა. პაპაშას ერთ-ერთი გვრიტი დანჟღრეულისა, გაბზარულისა და ხრინწიანის ხმით Надѣну я черное платье-ს მღეროდა. პაპაშამ ყური დაუგდო, ქსენიას ხმა იცნო და ზევით ასვლა, ხანუმას გალანძღვა და საყვედურის თქმა მოუნდა, მაგრამ ვერ გაბედა... შერცხვა, რადგან ნდობა დაკარგული ჰქონდა, გვრიტებსა და წიწილებს ველარ დაჰპატიჟებდა და ხანუმაც ფულს ხელმეორედ მოსთხოვდა. ქალებს, უეჭველია, უკვე გაგებული ექნებოდათ, რომ პაპაშას ხანუმასი ემართა და ამის გამო პაპაშას შესაფერის ყურადღებით აღარ მოეპყრობოდნენ.

პაპაშას რაღაც მიზეზით სინიდისიც ჰქენჯნიდა, თითქო რაღაც მოიპარა და მისმა გვრიტებმა ამ ქურდობაში ამხილესო.

მამლის ყივილამდის გაუნძრევლად იწვა და დაღვრემილი, მოღრუბლული, მოხუშული და მწარედ დარდებით მოცული ბნელ კუთხეს მისჩერებოდა.

მეორე დღეს ცუდ გუნებაზე ადგა; ცოლს სცემა, ავდარში ბავშვები გარედ გაყარა და ჰიაყელასაც შეუტია. სახელოსნოში მასალა შემოაკლდათ; პაპაშამ ფულის უქონლობის გამო ვერ იყიდა. სამი ხელოსანი მთელ დღეს უსაქმოდ იყო. საღამომდის ჩაფიქრებული უსაქმოდ ქუჩებში

*) იხ. „დამატება“ № 279, 1904 წ.



შეტაკება სოფელ ლინშიჯუში.

დალასლასებდა; საღამოზე თავის ცოლს ბეჭდები წაართვა, დააგირავა, ტკბილეულობა იყიდა, დანარჩენი ფული აბაზიანებად დახურდავა და თავის გვრიტებთან წავიდა. მარტო ყოფნა უნდოდა და ამიტომ ქიაყელას რაღაც საქმე გამოუგონა და გაღმა გაგზავნა.

კიბეზე ისე ადიოდა, თითქო ზურგზე ათი ფუთი აწევსო: ფეხები ძლივს მიჰქონდა, ყოველ ოთხ ნაბიჯის შემდეგ ჩერდებოდა, ისვენებდა და ხვნეშითა და ოფლის წმენდით ისევ გზას უდგებოდა. კარებთან კარგა ხანს იდგა და ახალუხის ღილებს იკრავდა, ნამდვილად კი ზალას ათვალიერებდა. მერე გაბედა და თავდაღუნული შევიდა. ფეხები თითქოს დაუსუსტდა, ერთმანეთში ეხლართებოდა, თავი დაღუნული ჰქონდა, აღარ იღიმებოდა, ორივე ხელით ოფლს იწმენდავდა და პირისახეს იმალავდა. ჩვეულებრივად შუა ზალაში არ შეჩერდა და არც დოინჯი შემოიყარა. ქალები ჩვეულებრივის აურ-ზაურითა და სიცილ ყვირილით არ მიეგებნენ. მხოლოდ ორიოდემ ძალდატანებით და უგულოდ წამოიძახა:

— ა-ა, პაპაშა!

პაპაშა იქვე სკამზედ ჩამოჯდა და თითქოს ოფლს იწმენდავსო, ცხვირსახოცს დიდხანს ისევ თავპირზე ისვამდა და ისევ აწითლებულ ლოყებს იმალავდა. მერე თვალების წმენდა და ახალუხის ღილების კვრა დაიწყო.

გვრიტები და წიწილები არ მისცვივდნენ, წეწვა არ დაუწყეს, ჯიბეები არ გაუჩხრიკეს, ყელზე არ ჩამოეკიდნენ და ამით პაპაშასადმი სასტიკი გულგრილობა და უმადურობა გამოიჩინეს. ისე ექცეოდნენ, თითქოს უცხო და ჩვეულებრივი სტუმარი იყოო. ბევრმა გვერდით აუარა, მაგრამ ზედაც არ შეჰხედა, თითქო არც კი იცნესო.

ცოტად რომ დამშვიდდა, ერთ ქალს თვალი უყო, მოიხმო და ჩუმად, ქურდულად ერთი მუჭა კამფეტი და აბაზიანი მისცა. მერე მეორესა და მესამესაც დაუძახა და იმათაც კამფეტი და აბაზიანი მისცა. იმათაც აიღეს, მაგრამ ჩუმად, ქურდულად: უკან უკან იყურებოდნენ, ხანუმამ არ დაგვინახოსო. მეოთხეც მოვიდა, მაგრამ კამფეტი არ გამოართვა, რადგან მეორე ოთახიდან ხანუმა იყურებოდა. პაპაშამ მეხუთეს დაუძახა, მაგრამ ის ახლოც არ მიეკარა.

პაპაშა გაშრა, აინთო და ჭარხალივით გაწითლდა. ცოტა ხნის შემდეგ თავლაფ-დასხმული, შერცხვენილი და ნაწყენი პაპაშა გარედ გამოვიდა, ქუჩაში გაჩერდა და ფიქრი დაიწყო.

ნისლიანი საღამო იყო. ოდნავ ჟინჟღლავდა, მაგრამ ამას პაპაშა არ გრძნობდა. გამვლელ გამოვლელები სალამს აძლევდნენ, მაგრამ პაპაშა არავის არ არჩევდა, არავის ყურს არ უგდებდა და არაფერი არ ესმოდა. პაპაშას არ ესმოდა, თუ რისთვის და რად მოექცნენ მას იმისი გვრიტები და წიწილები ასე მკაცრად, შეუბრალებლად და სასტიკად. რად? რისთვის? ან რა დააშავა, ვის რა აწყენინა? პაპაშას უფრო ის აღონებდა, რომ მისდამი საშინელი უმადურობა სწორედ იმ წიწილებმა გამოაჩინეს, რომელნიც თორმეტის წლის განმავლობაში პაპაშასთვის ცოლშვილზე უძვირფასესნი იყვნენ, რომელნიც გატაცებით, თავდავიწყებითა და უსაზღვროთ უყვარდა, რომელთათვისაც პაპაშას არა დროს და არაფერი არ უწყენინებია, არაფერი არ დაუშურია და მათთვის ერთი ხმამაღალი სიტყვაც კი არ უთქვამს. ეხლა კი უცებ და უმიზეზოდ ცივად, თითქმის მტრულად დაუხვდნენ, ჩამოეცალნენ, მისთვის ერთი ტკბილი და სანუგეშო სიტყვაც კი არ გაიმეტეს და ზოგიერთმა ხომ ზედაც არ შეხედა, ახლოც არ მიეკარა!

პაპაშა დაობლდა!

პაპაშა მთელ ქვეყანაზედ მარტოდ მარტო და ეულად დარჩა!

ეს მარტოობა და ობლობა გულზე მძიმე ლოდად დააწვა: სულს უხუთავდა, გულს უღრღნიდა, ყელში რაღაც აწვებოდა და სუნთქვას უშლიდა.

პაპაშა უბედური იყო! პაპაშა იტანჯებოდა!

იმ ღამეს ნაცნობის სარდაფში დათვრა; შინ გვიან დაბრუნდა, ყვირილი დაიწყო, ერთი ალიაქოთი ასტეხა, ყველანი გაალვიძა, ცოლს ხელმეორედ სცემა, შუაღამეს ბავშვები გარედ გაყარა, მერე ტახტზე პირქვე მიწვა და ტირილი დაიწყო.

აქედ ოთახში პაპაშა ტიროდა, მეორეში იმის ცოლი, კარებს უკან ბავშვები. გარედ ქარი ჰქროდა, ფანჯრებს წვი-



დარაჯი ბაიკალის რკინის გზაზე.

მა უშხაპუნებდა, ზევით კი ქსენია დანჟღრეულისა და ხრინწიანის ხმით გაჰკიოდა:

Надѣну черное пла-а-атье-е-е...



იაპონელები წყურვილს იკლავენ ცხარე სროლის დროს.

Въ мона-ашки я-а-а пойду-у-у...

მეორე დღეს პაპაშა ზევით არ ასულა. მესამე დღეს თავის ცოლს ძველი ვერცხლის ქამარი მოჰპარა, დააგირავა, ხანუმასთვის ერთი კარგი ბაღდადი და ლეჩაქი იყიდა, წიწილებისთვის კი ხილი და ქიაყელას ხელით ზევით აგზავნა. ქიაყელა მაშინვე დაბრუნდა.

— ჰმ! რაო?

— მიიღო, მაგრამ... საქმე ცუდად არის.—ამოიოხრა ქიაყელამ და სიჩუმის შემდეგ დაამთავრა:—თუ ზეგ ფული არ მოიტანა, ვუჩივლებო... ეგრე თქვა.—ქიაყელამ ისევ ამოიოხრა, თავი გააქნ-გამოაქნია და ისევ ზევითკენ გასწია.

ამის შემდეგ პაპაშა ზევით მხოლოდ რამდენიმე წუთით-ღა ავიდოდა ხოლმე: კუთხეში მიკუნჭული იჯდა, მობუზული იყო და დაღონებული სევდიანად გამოიყურებოდა ხოლმე. კამფეტებს ჩუმათ და ქურდულად არიგებდა, შემდეგ დაღონებულივე შინ ბრუნდებოდა და აღელვებულ გულს თავის ცოლის ცემითა და ბავშვების გარედ გაყრით იმშვიდებდა. სახელოსნო სამი დღის წინად დაკეტა, რადგან მასალა არა ჰქონდა და ხელოსნებიც გაიქც-გამოიქცნენ.

ერთ დღეს პაპაშამ თავის ცოლს, რაც ვერცხლეულობა ჰქონდა, გამოართვა, თავის ქამარიც ზედ დაუმატა და დააგირავა. ზოგი ფული ხელოსნებს მისცა, ზოგით ერთი წყვილი კარგი ფეხსაცმელი და ტკბილეულობა იყიდა და ხანუმას აუგზავნა, მაგრამ ხანუმამ არ მიიღო, უკანვე დაუბრუნა და თანაც შემოუთვალა, აქ აღარ ამოხვიდეო.

ერთი კვირის განმავლობაში ზევით აღარ ასულა. დილიდან საღამომდის დაღონებული და თავჩაქინდრული ქუჩებში დადიოდა. მარტოდ ყოფნა უნდოდა, ქიაყელას ეპარებოდა, ემალებოდა, ნაცნობ მედუქნეებთან შედიოდა, მთელ საათობით კუნჭულში ჩუმად, ხმა-ამოუღებლად იჯდა და დროს გასატარებლად ღვინოს სვამდა.

რამდენიმე დღის შემდეგ პაპაშა სასამართლოდან მოდიოდა. აქეთ-იქიდან ნაცნობი მედუქნეები სალამს აძლევდნენ, უძახდნენ, ეპატიჟებოდნენ და რაღაცას ეკითხებოდნენ, მაგრამ პაპაშა არავის ხმას არ სცემდა, ყურადღებას არ აქცევდა და აჩქარებული ლასლასით შინისკენ მიეშურებოდა. საღამომდის გულაღმა ტახტზე იწვა და ფიქრობდა. იმ დღეს არც ცოლისთვის უცემნია, არც ბავშვებს გასჯავრებია და არც ქიაყელას დალაპარაკებია. საღამო ჟამს ადგა, ნახევარ საათს ბნელ ოთახში კუთხიდან კუთხემდე დადიოდა, მერე შედგა და ხანგრძლივ ფიქრის შემდეგ ჩქარის ნაბიჯით ხანუმასაკენ გასწია. კიბეზე არ ისვენებდა, არც კარებთან გაჩერდა და აღარც ოფლს იწმენდავდა. მუხლები უკანკალებდა, გული მძლავრად უცემდა და ფეხებიც დასუსტებული ჰქონდა, მაგრამ მაინც ყოჩაღად და გაბედულად მიდიოდა. ზალაში მაშინვე სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ჩურჩულიღა ისმოდა. ქალებმა ხანუმასკენ მიმავალი თავ-ჩაღუნული პაპაშა თვალით გააცილეს და ისევ ჩურჩული დაიწყეს. ხანუმა ჩვეულებრივად ტახტზე იჯდა და გაშტერებული ზალისაკენ იყურებოდა. პაპაშა იმის წინ გაჩერდა, რიღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერაფერს ვერ ამბობდა, ენა დაება და მხოლოდ ხვნეშოდა. ერთი წუთის შემდეგ დაბალისა და ათრთოლებულის ხმით ჰკითხა:

— ხანუმი, ეს რა მიყავი... ჰა?.. რათ... რაჲ მიყავი...

მისი ხმა ჯერ მხოლოდ საყვედურს გამოჰხატავდა. მუქარა, უკმაყოფილება და აღელვება არ ისმოდა.

ხანუმამ პაპაშას ზედაც არ შეხედა და დაბალის ხმით გულ-გრილად მიუგო.

— შენი ბრალია.

— ეს რა მიყავი, ჰა?.. რა მიყავი... რა... რა დაგიშავე...

პაპაშა ნაწყვეტ ნაწყვეტად ლაპარაკობდა. მის ხმას სიმტკიცე დაეტყო.

— იჰ! კარგი ერთი და! აბა ეხლა რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია?

— არა, დაიცა... მითხარი, რა დაგიშავე... ჰა, რა დაგიშავე?..

— ტყუილად ლაპარაკობ. ეხლა, სულ ერთია, აღარა იქნება რა.

— არა, დაიცა... მითხარი, რა დაგიშავე მეთქი?

პაპაშამ ხმას უმატა.

-- კარგი, გეყოფა; წადი დაიძინე.—ურჩია ხანუმამ და ასადგომად მოემზადა.

— მე შენ გეკითხები, რა დაგიშავე მეთქი!

— შენ ნუ ყვირი, თორემ მე ვიცი შენი!—დაემუქრა ხანუმა.

პაპაშა გაჩუმდა. ჯერ ერთ წუთს თითს უქნევდა და პირდაპირ თვალებში უყურებდა, მერე კი დაბალის ხმით უთხრა:



მარშალი ოიამა და იმისი შტაბი ჯადოქრის წარმოდგენაზე ლიაოიანში, გენ. კუროპატკინისეულ ბაღში.

— შენ, ხანუმი, უსინიდისო დედაკაცი ყოფილხარ... შენ... შენ სინიდისი არა გქონია...

— გაბო, გაჩუმდი, თორემ ინანებ!—დაუბღვირა ხანუმამ და წამოიწია.

პაპაშა ხანუმას არ შორდებოდა, მის ცხვირ წინ განუწყვეტლივ თითს იქნევდა და დაჟინებით იმეორებდა:

— უსინიდისო ხარ!.. უსინიდისო... უსინიდისო... უსინიდისო...

ორმა ბიჭმა მკლავებში ხელი ჩაავლო და კარებისკენ წევა დაუწყო.

პაპაშა აღელდა, ყელში რაღაც მოაწვა და სუნთქვა გაუჭირდა.

— უსინიდისო... უსინიდისო... უსინიდისო... ხრიალებდა პაპაშა და განთავისუფლებას ცდილობდა. ბიჭები არ უშვებდნენ და კიბისაკენ ეწეოდნენ. პაპაშამ ხელი გაიქნია და ერთ ბიჭს პირისახეში მოარტყა. იმავ წუთს თვითონ პირსახეში რაღაც მოხვდა.

თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა, თვალ წინ წითელმა რგოლებმა გაურბინეს და მუხლებში ძალა გამოეცალა. თვალებიდან ნაპერწკლები მეორეთ, მესამეთ და მეოთხეჯერაც წამოსცვივდა; შემდეგ კი იგრძნო, თითქოს თბილ ბურუსში გაეხვიაო და ეს სითბო ესიამოვნა. მერე თითქო ღრმა და უძირო ორმოში ჩავარდა... იქაც თბილოდა და იქ წოლაც სასიამოვნო იყო...

ოციოდე დღის შემდეგ პაპაშას ოთახში სამოსამართლო ბოქაული, ხანუმა და კიდევ ვიღაცა დადიოდნენ, ყველაფერს სინჯავდნენ, ათვალიერებდნენ და რაღაცას სწერდნენ. ბოქაულსა და დარბაისელ ხანუმას მობუზული, წელში მოხრილი და ყურებამდის პალტოში ჩამძვრალი ქიაყელა მისდევდა და რაღაცას ბუტბუტებდა. იქითა ოთახში პაპაშას ცოლი ხმა მაღლა ტიროდა. ბავშვები კაბაზე ეპოწიალებოდნენ და ბოქაულსა და ხანუმას ემალებოდნენ. შემოსასვლელ კარებიდან პოლიციელი და მედუქნე იცქირებოდნენ. თავშეხვეული და ყბა-ახვეული პაპაშა კი ლოგინში იწვა. ჭერს შესცქეროდა და დრო-გამოშვებით ხელის გულით ლოყებიდან და თვალებიდან ცრემლებს იწმენდავდა.

ძონძებში გამოხვეული პაპაშა საღამომდის ბაზარში დაძუნძულებს, კარგად რომ შემოღამდება, ქიაყელას პოულობს და თავის ჭუკებსა და წიწილებთან მიდის. ქიაყელა სისხლს აყოლებს ნახველს და ყოველდღე სიკვდილს ელის, მაგრამ პაპაშას მაინც არ შორდება და ორივენი ბინდიდან შუაღამემდის ხანუმას სახლის წინ დადიან, ზალაში იცქირებიან, გვრიტებზე და წიწილებზე მსჯელობენ და ზალაში შესვლას ნატრობენ, მაგრამ ვერ ბედავენ, რადგან შესაფერი ტანისამოსი არა აქვთ. ხანუმამ თავისი ქალები ქვეითა სართულში გადმოიყვანა, რადგან იქ ხალხი უფრო მეტად ხვდება და ზალაც დიდია. შუა ღამისას პაპაშა და ქიაყელა შინ მოდიან, ორივენი ერთ ქეჩაზეწვებიან ⁊ ხშირად მთელ საათობით ისევ თავიანთ გვრიტებსა, ჭუკებსა და წიწილებზე ლაპარაკობენ. შურით იგონებენ თავიანთ ბრწყინვალე წარსულს, ოხრავენ, ერთმანეთს ამტყუნებენ, მაგრამ თავიანთ ლაპარაკს ბოლოს მაინც ისევ გვრიტებითა ⁊ წიწილებით ათავებენ...

მ. ადამაშვილი.



— ქალბატონი ბოდიშს იხდის, ვერ მიგიღებთ, რადგან ტანთ იცვამს.

— საკვირველია, ყოველთვის რამე მიზეზია: ხან იცვამს, ხან იხდის... მაშ როდის შეიძლება ნახვა?

— ან ერთისა და ან მეორის შემდეგ.



— გადასწერეთ ჩემი ხელნაწერი?

— დიაღ.

— როგორ მოგეწონათ?

— უკაცრავად, არ წამიკითხავს.



შეუბრალებელნო!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი